

სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი 090151

პროფესიული სტანდარტი

I. სფეროს აღწერა

სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის საქმიანობა განეკუთვნება ჯანდაცვის სფეროს და მოიცავს დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის აპარატული და ინსტრუმენტული საშუალებების, ასევე ფარმაცევტული ტექნოლოგიური საშუალებების ინსტალაციას, გეგმიურ და ოპერატიულ ინსპექციას, კალიბრირებას, მოდიფიცირებას, ტესტირებასა და შეკეთებას. პროფესიული კომპეტენციის განხორციელებისას სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორი იყენებს წერილობით ინსტრუქციებს, პროექტებს, ტექნიკური სპეციფიკაციის დოკუმენტაციასა და სტანდარტულ სპეციალიზებულ მოწყობილობებს. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე აღნიშნულ სპეციალისტს ევალება შესაბამისი კომპეტენციის ფარგლებში ელექტრული, ქიმიური, ბიოლოგიური და რადიაციული უსაფრთხოების წესების უმკაცრესი დაცვა დადგენილი რეგლამენტის მიხედვით.

სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენს სხვადასხვა დონის სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალის ინსტრუქტაჟი შესაბამისი მოწყობილობების უსაფრთხო ოპერირების უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით და ოპერირების პროცესზე მეთვალყურეობა, რასაც იგი ახორციელებს სწავლებისა და დემონსტრირების გზით.

სამედიცინო მიღწევები და რევოლუციური ტექნოლოგიები სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორისგან მოითხოვს ტრადიციულისგან სრულიად განსხვავებულ პროფესიულ ცოდნას, უნარებს, დარგობრივ და ზოგად კომპეტენციებს, რასაც უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამა.

II. დასაქმების სფერო

სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის დასაქმების სფერო მოიცავს სხვადასხვა დონის დიაგნოსტიკურ, სამკურნალო, პროფილაქტიკურ და სარეაბილიტაციო დაწესებულებებს, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და ლაბორატორიებს, სხვადასხვა ტიპის ფარმაცევტულ დაწესებულებებს, სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა სერვისის დამოუკიდებელ ცენტრებს, შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

III. დამატებითი მოთხოვნები:

მეხუთე საფეხურის პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა სრული ზოგადი განათლება

IV. საგანმანათლებლო პროგრამა და კვალიფიკაცია

სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის განათლება არის ერთსაფეხურიანი, კერძოდ კი - მე-5 საფეხურის. პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და მასზე გაიცემა პროფესიული დიპლომი.

მეხუთე საფეხურის სამედიცინო და ფარმაცევტული მოწყობილობის ოპერატორის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს მინიმუმ 150 კრედიტს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიის და პრაქტიკის კომპონენტს. პრაქტიკის კომპონენტი არის საერთო დატვირთვის არანაკლებ 50%. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდგომ კურსდამთავრებულს ენიჭება სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაცია.

V. სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის კვალიფიკაციის აღმწერი

სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერატორის მეხუთე საფეხურის კვალიფიკაციის აღმწერი

<p>ცოდნა და გაცნობიერება</p>	<p>აქვს პროფესიულ საქმიანობისთვის აუცილებელი თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები და აცნობიერებს საკუთარი პროფესიული კომპეტენციის ფარგლებს</p>	<p>აქვს სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობების ოპერატორისთვის საჭირო სამედიცინო და ტექნიკური ცოდნა და უნარები, რის საფუძველზეც უზრუნველყოფს სამედიცინო და ფარმაცევტული ტექნოლოგიური დანადგარებისა და ინსტრუმენტული საშუალებების გამართულ და ოპტიმალურ მუშაობას; პაციენტთა, სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა სხვადასხვა დონის პერსონალის უსაფრთხოებას. იგი აცნობიერებს საკუთარ როლს საზოგადოებრივი ჯანდაცვის უზრუნველყოფაში სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ოპერირების პროფესიულ-ტექნიკური და ეთიკურ-ლეგალური ნორმებისა და რეგულაციების შესრულების გზით.</p>
-------------------------------------	---	---

<p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი</p>	<p>შეუძლია მიღებული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამოყენება კომპეტენციის ფარგლებში სამუშაოს დაგეგმვის, სათანადო დონეზე წარმართვისა და მხარდი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით.</p>	<p>ცოდნის საფუძველზე უნარი შესწევს ყოველმხრივად, სისტემატურად და ზუსტად შეაფასოს ტექნიკური დახმარების საჭიროება და უზრუნველყოს სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა უსაფრთხო და გამართული მუშაობა. მას შეუძლია: შეიმუშაოს სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა ტექნიკური აღჭურვის გეგმა და სტრატეგია; უზრუნველყოს ტექნიკური საქმიანობა ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ გარემოში; ტექნიკური საქმიანობის შეფასება-შესწავლისა და მიღებული მონაცემების ინტერპრეტაციის გზით განახორციელოს საქმიანობის გეგმისა და სტრატეგიის მოდიფიცირება; დროულად და ზუსტად აწარმოოს ტექნიკური დოკუმენტაცია; ეფექტურად იმოქმედოს კრიზისულ სიტუაციებში; უზრუნველყოს უსაფრთხო გარემო პირობები რისკ-ფაქტორების მართვისა და მათ შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზით; უზრუნველყოს სამედიცინო და ფარმაცევტული პერსონალის საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში სწავლება და მხარდაჭერა; უზრუნველყოს ტექნიკური საქმიანობის სტანდარტების დანერგვა და ხარისხის სრულყოფა.</p>
<p>დასკვნის უნარი</p>	<p>შეუძლია სპეციფიკური პრობლემის იდენტიფიკაცია, მისი გადაჭრის სარწმუნო, მტკიცებულებაზე დაფუძნებული, უსაფრთხო გზების ოპერატიული მოძიება და სათანადო დასკვნის გამოტანის შემდგომ ქმედების ადექვატური გეგმის შემუშავება-განხორციელება.</p>	<p>მიღებული ცოდნის საფუძველზე უნარი შესწევს ლოგიკურად დაადგინოს სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა ანდა ინსტრუმენტულ საშუალებათა გაუმართაობის შესაძლო მიზეზი, დემონტაჟის, შეცვლისა თუ შეკეთების გზით აღმოფხვრას იგი და სათანადო დონეზე უზრუნველყოს მოწყობილობის მუშაობა ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისად. სათანადო განსჯისა და დასკვნის გამოტანის შემდგომ მას უნარი შესწევს კონკრეტული დიაგნოსტიკური, სამკურნალო ანდა ტექნოლოგიური მოთხოვნების შესაბამისად კორექტივები შეიტანოს ორიგინალურ კომპლექტაციაში უსაფრთხოების წესების დაცვითა და ხარისხის უზრუნველყოფით.</p>

<p>კომუნიკაციის უნარი</p>	<p>წარმატებით ფლობს კომუნიკაციის უნარებს ცვლად პროფესიულ გარემოში. იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო საშუალებებს და შეუძლია ახალი ტექნოლოგიების დამოუკიდებელი ათვისება; შეუძლია სპეციფიკური პროფესიული ინფორმაციის მიღება, დამუშავება და სხვადასხვა გზით გადაცემა, როგორც მშობლიურ, ასევე უცხო ენაზე</p>	<p>შეუძლია როგორც ზეპირი, ასევე წერილობითი კომუნიკაციის დამყარება კოლეგებთან, სამედიცინო და ფარმაცევტულ დაწესებულებათა სხვადასხვა დონის პერსონალთან, პაციენტებთან და სხვა ინდივიდებთან სამედიცინო და ფარმაცევტულ მოწყობილობათა გამართული ექსპლოატაციისა და უსაფრთხოების ნორმების დაცვის მიზნით.</p> <p>იგი ფლობს თანამედროვე საკომუნიკაციო საშუალებებს როგორც სარწმუნო ინფორმაციის მოპოვების, ასევე დამუშავების, შენახვისა და საჭიროების შემთხვევაში, გავრცელებისა და დემონსტრირების მიზნით.</p> <p>იგი იყენებს კომუნიკაციის თანამედროვე საშუალებებს ტექნიკური და სხვა ტიპის დოკუმენტაციის დროული და ზუსტი წარმოებისთვის.</p> <p>იგი წარმატებით იყენებს ინტერპერსონალური კომუნიკაციის უნარებს სამედიცინო და სხვა ტიპის პროფესიული გუნდის დანარჩენ წევრებთან ეფექტური თანამშრომლობისა და კოორდინირებული საქმიანობის მიზნით</p>
<p>სწავლის უნარი</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით</p>	<p>შეუძლია დამოუკიდებლად განსაზღვროს საკუთარი ცოდნის დეფიციტი, საჭიროებები და პრიორიტეტები შემდგომი პროფესიული სრულყოფის მიზნით. აღნიშნულიდან გამომდინარე შეუძლია მოძიოს შესაბამისი წყაროები, რომლებიც უზრუნველყოფენ მის უწყვეტ პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლას</p>
<p>ღირებულებები</p>	<p>აქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პროფესიული ღირებულებები, რომლითაც ხელმძღვანელობს ცვლად პროფესიულ გარემოში</p>	<p>მოქმედებს პროფესიული საქმიანობის მარეგულირებელი საერთაშორისო და ლოკალური საკანონმდებლო და ეთიკური ნორმების შესაბამისად; მაღალი პასუხისმგებლობით ეკიდება საკუთარ პროფესიულ საქმიანობას; კრიტიკულად უდგება საკუთარ საქმიანობას, საჭიროების შემთხვევაში ითვალისწინებს ადექვატურ პროფესიულ შენიშვნებს, მითითებებსა და რეკომენდაციებს; აფასებს სხვათა დამოკიდებულებას პროფესიული ღირებულებებისადმი და მზად არის საკუთარი დამოკიდებულება გაუზიაროს სხვას.</p>